**КОМИССИЯ ПРОПАГАНДЫ
ФЕДЕРАЦИИ ФУТБОЛА ГРУЗИИ**

**ТБИЛИССКИЙ СТАДИОН «ДИНАМО»
ИМЕНИ В. И. ЛЕНИНА**

Составитель О. НОЗАДЗЕ

Художник К. САДЗАГЛИШВИЛИ. Техредактор В. ДОХНАДЗЕ
Выпускающий А .САМХАРАДЗЕ

**№ 20 (73)**

Цена 27 коп.

შეკვ. 2687. ტ. 30.000. უე 03545

Типография издательства ЦК КП Грузии, ул. Ленина, 14

თბილისი
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს“ სტადიონი

# ევროპის ჩემპიონთა თასზე

7. XI. 79

დასაწყისი **19** საათზე




# „დინამო“
(თბილისი, სსრ კავშირი)

«ДИНАМО»
(ТБИЛИСИ, СССР)

«DYNAMO»
(TBILISSI, UDSSR)

# „ჰამბურგერ შფ“
(ჰამბურგი, გფრ)

«ГАМБУРГЕР ШФ»
(ГАМБУРГ, ФРГ)

«HAMBURGER SV»
(HAMBURG, BRD)



UNSER HERZLICHER WILLKOMMENGRUß AN DIE HAMBURGER FUßBALLSPIELER!

HEUTE empfingt Tbilissere Dynamo, unser Stadt die Hamburger Fußballspieler.

Die Tbilisser lieben Fußball, viele berühmte Meister haben sie auf ihrem Stadion gesehen, eigen und fremd.

In den letzten Jahren haben unsere Zuschauer viele interessante Spiele gesehen, nachdem die Tbilisser in Europa das georgische Fußballspiel bekannt machten.

Wer hat nicht in Tbilissi gespielt: englischer «Tottenham Hotspurs» und «Liverpool», italinischer «Internationale» und «SSC Neapel», schweizer «Grashoppers», westberlinischer «Hertha»; hungarischen MTK und jetzt noch ein berühmter Klub – Hamburger SV.

Unser Zuschauer beobachtete durch das Fernsehen das erste Wettspiel zwischen Dynamo und Hamburger SV von dem Volksparkstadion. Die Rollen sind umgetauscht, wie man sagt, die ganze Hamburg erwatet ungeduldig das Wiederspiel deutscher Fußballspieller.

Ja, wir wissen gut daß die Lage nach dem ersten Rund für die Gäste besser ist. Aber wir glauben fest daß die georgische Fußballspieler sind fertig für die entscheidende Wettkampf.

Laß im spannenden und interessaten Spiel siegt der Beste!

# სალამი ჰამბურგელ ფეხბურთელებს!

დღეს თბილისის დინამოელები, საქართველოს დედაქალაქის სპორტის მოყვარულნი თავისთან იღებენ ჰამბურგელ ფეხბურთელებს.

თბილისელებს უყვართ ფეხბურთი, იციან მისი მადლი და ეშხი. ტყავის ბურთის ბევრი სახელოვანი ოსტატი უნახავთ თავიანთ სტადიონზე — საკუთარი თუ ჩამოსული. ბოლო წლებში ჩვენმა გულშემატკივრებმა იხილეს უმაღლესი რანგის თამაშებიც — მას შემდეგ, რაც თბილისის დინამოელებმა, ასე ვთქვათ, „ევროპაში გაჭრეს ფანჯარა" — კონტინენტის საკლუბო ტურნირებში გამოდიან რეგულარულად. ვინ არ იასპარეზა თბილისში: ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" და „ლივერპულმა", იტალიის „ინტერნაციონალემ" და „ნაპოლიმ", უელსის „კარდიფ სიტიმ", შვეიცარიის „გრასჰოპერსმა", დასავლეთ ბერლინის „ჰერტამ" და აი, ახლა კიდევ ერთი სახელოვანი კლუბი — „ჰამბურგერ შფ".

ჩვენი გულშემატკივრები ტელევიზიის საშუალებით დიდი მღელვარებით ადევნებდნენ თვალს „დინამოსა" და „ჰამბურგერ შფ"-ის პირველ მატჩს ჰამბურგის „ფოლკსპარკშტადიონიდან". ახლა, როგორც იტყვიან, როლები შეიცვალა: უკვე მთელი ჰამბურგი მოუთმენლად ელის ამ განმეორებით შეხვედრას.

დიახ, მასპინძლებმა კარგად ვიცით რომ პირველი რაუნდის შემდეგ სტუმართა მდგომარეობა უფრო სახარბიელოა, მაგრამ მტკიცედ გვჯერა, რომ დინამოელებიც მზად არიან გადამწყვეტი ორთაბრძოლისათვის, რომელმაც უნდა გამოავლინოს ევროპის ჩემპიონთა თასის ერთ-ერთი მეოთხედფინალისტი.

დაე, უკომპრომისო, მწვავე, კორექტულ ასპარეზობაში გაიმარჯვოს უძლიერესმა. ლამაზ ფეხბურთს ვუსურვებთ სტუმარ-მასპინძლებს!



ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!..

# 3 МАТЧА...

розыгрышей европейских клубных турниров с участием советских команд состоится сегодня в Тбилиси, Порто (Португалия) и Киеве (встречи II тура).

Кубок чемпионов
$^1/_8$ финала
**«Динамо» (Тбилиси) — «Гамбургер ШФ» (ФРГ)**
(результат первого матча — 1:3)

Кубок кубков
$^1/_8$ финала
**«Боависта» (Португалия) — «Динамо» (Москва)**
(первый матч — 0:0).

Кубок УЕФА
$^1/_{16}$ финала
**«Динамо» (Киев) — «Баник» Чехословакия)**
(первый матч — 0:1).

## 12, 3, 10...

თბილისის „დინამომ" ევროპის თასების საკლუბო ტურნირებში სულ 25 მატჩი გამართა :12 მოიგო, 3 ფრედ დაამთავრა და 10 წააგო. ბურთების სხვაობაა 38-34 ქართველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ. ამ შეხვედრებში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ყიფიანმა — 9. შემდეგ მოდიან: გ. ნოდია და შენგელია — 5 (თითოეულს), ჩივაძე და ჩელებაძე — 3, ლ. ნოდია, მ. მაჩაიძე და გუცაევი — 2, გავაშელი, წერეთელი, ქელიძე, ასათიანი, ებრალიძე, კანთელაძე, დარასელია — 1.

## ПЕРВЫЙ ТУР

**КУБОК ЧЕМПИОНОВ**
**$^1/_8$ ФИНАЛА**

«Гамбургер ШФ» (ФРГ) — «Динамо» (Тбилиси, СССР) — 3:1.
«Вейле» («Дания) — «Хайдук» (Югославия) — 0:3)
«Ноттингем Форест» (Англия) — «Арджес» (Румыния) — 2:0.
«Порто» (Португалия) — «Реал» (Мадрид, Испания) — 2:1
«Аякс» (Голландия) — «Омония» (Кипр) — 10:0.
«Селтик» (Шотландия) — «Дандалк» (Ирландия) — 3:2.
«Дукла» (Прага, Чехословакия) — «Страсбург» (Франция) — 1:0.
«Динамо» (Берлин, ГДР) — «Серветт» (Швейцария) — 2:1

# ევროპის ჩემპიონთა თასი

(გამარჯვებულნი და ფინალისტები)

1. 1955-1956 წ.წ., პარიზი „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „სტად დე რეიმსი" (რეიმსი, საფრანგეთი) — 4:3.
2. 1956-1957 წ. წ., მადრიდი „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) „ფიორენტინა" (ფლორენცია, იტალია) — 2:0.
3. 1957-1958 წ. წ., ბრიუსელი „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) „მილანი" (მილანი, იტალია) — 3:2.
4. 1958-1959 წ. წ. შტუტგარტი „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) „სტად დე რეიმსი" (რეიმსი, საფრანგეთი) — 2:0.
5. 1959-1960 წ. წ., გლაზგო „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „ეინტრახტი" (ფრანკფურტი, გფრ ) — 7:3
6. 1960-1961 წ. წ., ბერნი „ბენფიკა" (ლისაბონი, პორტუგალია) — „ბარსელონა" (ბარსელონა, ესპანეთი) — 3:2.
7. 1961-1962 წ. წ., ამსტერდამი „ბენფიკა" (ლისაბონი, პორტუგალია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — 5:3.
8. 1962-1963 წ. წ., ლონდონი „მილანი" (მილანი, იტალია). „ბენფიკა" (ლისაბონი, პორტუგალია) — 2:1.
9. 1963-1964 წ. წ., ვენა „ინტერნაციონალე" (მილანი, იტალია) — „რეალი" (მადრიდი ესპანეთი) — 3:1.
10. 1964-1965 წ. წ., მილანი „ინტერნაციონალე" (მილანი, იტალია )— „ბენფიკა" (ლისაბონი, პორტუგალია) — 1:0.
11. 1965-1966 წ. წ., ბრიუსელი „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „პარტიზანი" (ბელგრადი, იუგოსლავია) — 2:1
12. 1966-1967 წ. წ., ლისაბონი „სელტიკი" (გლაზგო, შოტლანდია) — „ინტერნაციონალე" (მილანი, იტალია) — 2:1.
13. 1967-1968 წ. წ., ლონდონი „მანჩესტერ იუნაიტედი" (მანჩესტერი, ინგლისი) — „ბენფიკა" (ლისაბონი, პორტუგალია) — 4:1.
14. 1968-1969 წ. წ., მადრიდი „მილანი" (მილანი, იტალია) — „აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია) — 4:1.
15. 1969-1970 წ. წ., მილანი „ფეიენოორდი" (როტერდამი, ჰოლანდია) — „სელტიკი" (გლაზგო, შოტლანდია) — 2:1.
16. 1970-1971 წ. წ., ლონდონი „აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „პანათინაიკოსი" (ათენი, საბერძნეთი) — 2:0.
17. 1971-1972 წ. წ., როტერდამი „აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „ინტერნაციონალე" (მილანი, იტალია) — 2:0.
18. 1972-1973 წ. წ., ბელგრადი „აიაქსი "(ამსტერდამი, ჰოლანდია )— „იუვენტუსი" (ტურინი, იტალია) — 1:0.
19. 1973-1974 წ. წ., ბრიუსელი „ბაიერნი" (მიუნხენი, გფრ) — „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი) — 1:1, 4:0.
20. 1974-1975 წ. წ., პარიზი „ბაიერნი" (მიუნხენი, გფრ) — „ლიდს იუნაიტედი" (ლიდსი, ინგლისი )— 2:0.
21. 1975-1976 წ. წ., გლაზგო „ბაიერნი" (მიუნხენი, გფრ) — „სენტ-ეტიენი" (სენტ-ეტიენი, საფრანგეთი) — 1:0.
22. 1976-1977 წ. წ., რომი „ლივერპული" (ლივერპული, ინგლისი) — „ბორუსია" (მიონხენგლადბახი, გფრ) — 3:1.
23. 1977-1978 წ. წ., ლონდონი „ლივერპული" (ლივერპული, ინგლისი) — „ბრიუგე" (ბრიუგე, ბელგია) — 1:0.
24. 1978-1979 წ. წ., მიუნხენი „ნოტინჰემ ფორესტი" (ნოტინჰემი, ინგლისი) — „მალმე" (მალმე, შვეცია) — 1:0.

КЛИСФ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"




სსრ კავშირის 1964 და 1978 წლის ჩემპიონი.

სსრ კავშირის 1976 და 1979 წლის თასის მფლობელი.

ქვეყნის ჩემპიონატის 5-გზის ვერცხლის პრიზიორი.

ქვეყნის ჩემპიონატის 12-გზის ბრინჯაოს პრიზიორი.

უეფა-ს თასის გათამაშებაში: 1972-73 წ.წ. (ოცდამეთორმეტედფინალი), 1973-74 წ.წ. (მერვედფინალი), 1977-78 წ.წ. (მერვედფინალი), 1978-79 წ.წ. (მეთექვსმეტედფინალი).

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში — 1976-77 წ.წ. (მერვედფინალი).

DYNAMO TBILISSI

Der Unionsmeister in den Jahren 1964 und 1978.

Landes-Pokalsieger 1976 und 1979 Jahren.

Dynamo haf 5 Mal silberne Medaille. 12 Mal bronzerne Medaille im Fuẞball und wettbewerb der Sowjetunion errungen.

Die georgische Fuẞballspieler haben in der Europacupspieler 25 Spiel durchgeführt. 12 haben sie gesiegt, 3 Spiele sind unentschieden beendet und 10 Spiele haben sie besiegt. Tore 38–34.

ДИНАМО /ТБ/ - ЛИВЕРПУЛЬ
СССР АНГЛИЯ
3 : 0
55 МИН ГУЦАЕВ N 9 ДИНАМО
75 МИН ШЕНГЕЛИЯ N11 ДИНАМО
81 МИН ЧИВАДЗЕ N 3 ДИНАМО





ასე იწყებოდა...

...მატჩი და წვიმა.



გარღვევაზეა გუცაევი.



გამარჯვების სიხარული. (ჩივაძე და შენგელია).

КЛУБ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

# თბილისის «დინამო»

უეფა-ს თასი (1972-1973 წ.წ.)

ოცდამეთორმეტედფინალი

„დინამო“ — „ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) — 3:2.
თბილისი, 1972 წლის 13 სექტემბერი.
დინამოელთაგან გოლები გაიტანეს გ. ნოდიამ (2) და ყიფიანმა
„ტვენტე“ — „დინამო“ — 2:0
ენსხედე, 1972 წლის 27 სექტემბერი.

უეფა-ს თასი (1973-1974 წ.წ.)

ოცდამეთორმეტედფინალი

„დინამო“ — „სლავია“ (სოფია, ბულგარეთი) — 4:1.
თბილისი, 1973 წლის 17 სექტემბერი.
გოლები: გ. ნოდია, გავაშელი, ლ. ნოდია, მ. მაჩაიძე.
„სლავია“ — „დინამო“ — 2:0.
სოფია, 1973 წლის 3 ოქტომბერი

უეფა-ს თასი (1973-1974 წ.წ.)

მეთექვსმეტედფინალი

„დინამო“ — ოფკ (ბელგრადი, იუგოსლავია) — 3:0.
თბილისი, 1973 წლის 24 ოქტომბერი.
გოლები: ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.
ოფკ — „დინამო“ — 1:5.
ბელგრადი, 1973 წლის 7 ნოემბერი.
გოლები: ყიფიანი (2), გ. ნოდია, წერეთელი, ჭელიძე.

უეფა-ს თასი (1973-1974 წ.წ.)

მერვედფინალი

„დინამო“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი) — 1:1.
თბილისი, 1973 წლის 28 ნოემბერი.
გოლი: ასათიანი.
„ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „დინამო“ — 5:1.
ლონდონი, 1973 წლის 12 დეკემბერი.
გოლი: ებრალიძე.

თასების თასი (1976-1977 წ.წ.)

მეთექვსმეტედფინალი

„კარდიფ სიტი“ (კარდიფი, უელსი) — „დინამო“ — 1:0.
კარდიფი, 1976 წლის 15 სექტემბერი.
„დინამო“ — „კარდიფ სიტი“ — 3:0.
თბილისი, 1976 წლის 29 სექტემბერი.
გოლები :გუცაევი, ყიფიანი, კანთელაძე.

თასების თასი (1976-1977 წ.წ.)

მეთექვსმეტედფინალი

„დინამო“ — მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — 1:4.
თბილისი, 1976 წლის 20 ოქტომბერი.
გოლი: მ. მაჩაიძე.
მტკ — „დინამო“ — 1:0.
ბუდაპეშტი, 1976 წლის 3 ნოემბერი.

უეფა-ს თასი (1977-1978 წ. წ.)

ოცდამეთორმეტედფინალი

„ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) — „დინამო“ — 0:1.
მილანი, 1977 წლის 14 სექტემბერი.
გოლი: ყიფიანი.
„დინამო“ — „ინტერნაციონალე“ — 0:0.
თბილისი, 1977 წლის 28 სექტემბერი.

# ევროპის თასებზე

უეფა-ს თასი (1977-1978 წ.წ.)

მეთექვსმეტედფინალი

„კბ კოპენჰაგენი“ (კოპენჰაგენი, დანია) — „დინამო“ — 1:4.
კოპენჰაგენი, 1977 წლის 10 ოქტომბერი.
გოლები: ჩივაძე, ყიფიანი, ჩელებაძე, შენგელია.
„დინამო“ — „კბ კოპენჰაგენი“ — 2:1.
თბილისი, 1977 წლის 2 ნოემბერი.
გოლები: ჩელებაძე (2).

უეფა-ს თასი (1977-1978 წ.წ.)

მერვედფინალი

„დინამო“ — „გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) — 1:0.
თბილისი, 1977 წლის 23 ნოემბერი.
გოლი: შენგელია.
„გრასჰოპერსი“ — „დინამო“ — 4:0.
ციურიხი, 1977 წლის 7 დეკემბერი.

უეფა-ს თასი (1978-1979 წ.წ.)

ოცდამეთორმეტედფინალი

„დინამო“ — „ნაპოლი“ (ნეაპოლი, იტალია) — 2:0.
თბილისი, 1978 წლის 13 სექტემბერი.
გოლები: ყიფიანი, შენგელია.
„ნაპოლი“ — „დინამო“ — 1:1.
ნეაპოლი, 1978 წლის 27 სექტემბერი.
გოლი: დარასელია.

უეფა-ს თასი (1978-1979 წ.წ.)

მეთექვსმეტედფინალი

„ჰერტა“ (დასავლეთი ბერლინი) — „დინამო“ — 2:0.
დასავლეთი ბერლინი, 1978 წლის 18 ოქტომბერი.
„დინამო“ — „ჰერტა“ — 1:0.
თბილისი, 1978 წლის 1 ნოემბერი.
გოლი: შენგელია.

ჩემპიონთა თასი (1979-1980 წ.წ.)

მეთექვსმეტედფინალი

„ლივერპული“ (ლივერპული, ინგლისი) — „დინამო“ — 2:1
ლივერპული, 1979 წლის 19 სექტემბერი.
გოლი: ჩივაძე.
„დინამო“ — „ლივერპული“ — 3:0.
თბილისი, 1979 წლის 3 ოქტომბერი.
გოლები :გუცაევი, შენგელია, ჩივაძე.

ჩემპიონთა თასი (1979-1980 წ.წ.)

მერვედფინალი

„ჰამბურგერ შფ“ (ჰამბურგი, გფრ) — „დინამო“ — 3:1.
ჰამბურგი, 1979 წლის 24 ოქტომბერი.
გოლი: ყიფიანი.

КОПИЯ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

## «ჰამბურგერ შფ» / «ГАМБУРГЕР ШФ» / «HAMBURGER SV»

| | | |
|---|---|---|
| № კარგუსი | КАРГУС | KARGUS |
| № შტარსი | ШТАРС | STARS |
| № კალტცი | КАЛЬТЦ | KALTZ |
| № იაკობსი | ЯКОБС | JAKOBS |
| № ნოგლი | НОГЛИ | NOGLI |
| № ჰიდენი | ХИДЕН | HIDIEN |
| № ბულიანი | БУЛЯН | BULJAN |
| № მაგათი | МАГАТ | MAGATH |
| № ჰარტვიგი | ХАРТВИГ | HRUBESCH |
| № რაიმანი | РАЙМАН | REIMAN |
| № ჰრუბეში | ХРУБЕШ | HARTWIG |
| № კიგანი | КИГАН | KEEGAN |
| № მემერინგი | МЕМЕРИНГ | MEMERING |
| № ვეჰმაიერი | ВЕХМАЙЕР | WEHMEYER |
| № პლიუკენი | ПЛЮКЕН | PLÜCKEN |
| № ბლიმაისტერი | БЛИМАЙСТЕР | BLIMEISTER |
| № გორსკი | ГОРСКИ | GORSKI |

უფროსი მწვრთნელი — **ბრანკო ზებეცი**
Старший тренер — **БРАНКО ЗЕБЕЦ**
Trainer – BRANKO ZEBEC.

გუნდის კაპიტანი — **პიტერ ნოგლი**
Капитан команды — **ПЕТЕР НОГЛИ**
Kapitän – PETER NOGLI

## «დინამო» / «ДИНАМО» / «DYNAMO»

| | | |
|---|---|---|
| № გაბელია | ГАБЕЛИЯ | GABELIJA |
| № გოგია | ГОГИЯ | GOGIJA |
| № გ. მაჩაიძე | Г. МАЧАИДЗЕ | G. MATSCHAIDSE |
| № ჩივაძე | ЧИВАДЗЕ | TSCHIWADSE |
| № ხინჩაგაშვილი | ХИНЧАГАШВИЛИ | CHINTSCHAGASCHWILI |
| № ჩილაია | ЧИЛАЯ | TSCHILAJA |
| № დარასელია | ДАРАСЕЛИЯ | DARASELIJA |
| № მ. მაჩაიძე | М. МАЧАИДЗЕ | M. MATSCHAIDSE |
| № კორიძე | КОРИДЗЕ | KORIDSE |
| № გუცაევი | ГУЦАЕВ | GUZAJEW |
| № კიპიანი | КИПИАНИ | KIPIANI |
| № შენგელია | ШЕНГЕЛИЯ | SCHENGELIJA |
| № მუჯირი | МУДЖИРИ | MUDSCHIRI |
| № სულაქველიძე | СУЛАКВЕЛИДЗЕ | SULAKWELIDSE |
| № კოპალეიშვილი | КОПАЛЕЙШВИЛИ | KOPALEISCHWILI |
| № ჩელებაძე | ЧЕЛЕБАДЗЕ | TSCHELEBADSE |
| № კაკილაშვილი | КАКИЛАШВИЛИ | KAKILASCHWILI |

უფროსი მწვრთნელი — **ნოდარ ახალკაცი**
Старший тренер — **НОДАР АХАЛКАЦИ**
Trainer – NODAR ACHALKATSI

გუნდის კაპიტანი — **მანუჩარ მაჩაიძე**
Капитан команды — **МАНУЧАР МАЧАИДЗЕ**
Kapitän – MANUTSCHAR MATSCHAIDSE

მსაჯთა ბრიგადა: ალექს პონეტი, ჟან-კლოდ ჟურკინი, ალფონს დებლიეკი (ყველა — ბელგია).
უეფა-ს წარმომადგენელი—მატჩის ინსპექტორი: ბუჩელი (შვეიცარია).

СУДЕЙСКАЯ БРИГАДА: АЛЕКС ПОННЕТИ, ЖАН-КЛОД ЖУРКИНИ, АЛЬФОНС ДЕБЛИЕК (ВСЕ — БЕЛЬГИЯ).
ПРЕДСТАВИТЕЛЬ УЕФА — ИНСПЕКТОР МАТЧА: БУЧЕЛЛИ (ШВЕЙЦАРИЯ).

SCHIEDSRCHTER-TEAM: *ALEX PONNETI, JEAN KLOD JURKINI, ALFONS DEBLIJEK* (ALLE AUS BELGIEN).
UEFA – VERTRETER: HAUPTBEOBACHTER DES VUSBALLSPIELES *BUTSCHELLI* (SCHWEZI).




ჰამბურგის ტელევიზიის ახალმა ანძამ, თანამედროვე სტილში აგებულმა სასტუმრომ და კონგრესთა სასახლემ კიდევ უფრო შეუცვალეს იერი ქალაქს.

# ჰამბურგი. 24 ოქტომბერი...

24 ოქტომბერი. ჰამბურგი. „ფოლკს-პარკის" სტადიონი. საერთაშორისო არბიტრის ჟ. კონრატის (საფრანგეთი) სასტვენის ხმაზე ევროპის ჩემპიონთა თასის მერვედფინალური მატჩის მონაწილენი — ჰამბურგის „ჰამბურგერ შფ"-ი და თბილისის „დინამო" ასეთი შემადგენლობებით წარსდგნენ 52.000 მაყურებლის წინაშე: სტუმრები — გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია (მე-60 წუთზე იგი სულაქველიძემ შეცვალა), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია; მასპინძლები — კარგუსი, კალტცი, ნოგლი, იაკობსი, ჰიდენი, მაგათი, ბულიანი, ჰარტვიგი, ჰრუბეში, კიგანი, რაიმანი.



ჰამბურგელთა კარს უტევს დარასელია.

იუპი-საკდესის ტელეფოტო.

თამაში ჰამბურგელთა იერიშებით დაიწყო. ბევრს და მწვავედ უტევდნენ სახელგანთქმული კევინ კიგანი, მაღალი ტანის ცენტრალური თავდამსხმელი ჰორსტ ჰრუბეში და, განსაკუთრებით, მარჯვენა მცველი მანფრედ კალტცი. დინამოელები ფხიზლად დარაჯობდნენ საკუთარი კარის მისადგომებს. უფრო მეტიც: 29-ე წუთზე დავით ყიფიანმა (რომელსაც აქ „თეთრი პელე" უწოდეს) მიიღო დარასელიას ზუსტი გადაცემა, მოატყუა ჯერ კალტცი, შემდეგ მასპინძელთა კაპიტანი პეტერ ნოგლი და ლამაზი დარტყმით გახსნა ანგარიში.

საბედისწერო გამოდგა დინამოელთათვის 36-ე წუთი. დაუღალავმა კალტცმა მარჯვენა ფლანგიდან ძლიერად დაარტყა ჩვენი კარისაკენ. ბურთი მოხვდა თბილისელთა მცველს... და ანგარიში გათანაბრდა 1:1. გუნდები შესვენებაზე წავიდნენ.

შეხვედრის მეორე ნახევარი დინამოელმა ფეხბურთელებმა ერთობ სუსტად ჩაატარეს და კიდევ ორი ბურთი გაუშვეს. ერთი მათგანი 52-ე წუთზე გავიდა. — კალტცმა კვლავ მოაწოდა მაღალი ბურთი ჩვენს საჯარიმოში და მასთან მოულოდნელად „აღმართულმა" კიგანმა ახლო მანძილიდან უძლიერესი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი. 74-ე წუთზე ისევ კალტცმა გადასცა ბურთი ჰარტვიგს, რომელმაც ზუსტი თავური დარტყმით კიდევ უფრო გაზარდა ანგარიში — 3:1. და ბოლოს, აღსანიშნავია შეხვედრის 88-ე წუთი, როდესაც შენგელია გაექცა მასპინძელთა მცველებს, დაარტყა ძლიერად. მაგრამ რუდი კარგუსის კარი ამჯერად ძელმა იხსნა.



თბილისელთა კაპიტანმა მანუჩარ მაჩაიძემ შეტევა წამოიწყო ჰამბურგელთა კარზე.

სურათი გადაღებულია ტელეეკრანიდან ფოტორეპორტიორ ვ. ბენბიურის მიერ.




## СТАДИОН «ФОЛЬКСПАРК»: «ГАМБУРГЕР ШФ» — «ДИНАМО» ТБ.

К ПЕРВОМУ матчу сегодняшних соперников в Гамбурге была выпущена печатная программа журнального размера в 20 страниц (предлагаем репродукцию ее обложки и одной из страниц с составами команд). Программа открывается беседой менеджера клуба «Гамбургер ШФ» Гюнтера Нетцера, в которой он рассказывает о сопернике гамбургских футболистов в матчах 1/8 финала розыгрыша КЕЧ, дает высокую оценку игре тбилисских динамовцев с «Ливерпулем», выражает уверенность, что матчи в Гамбурге и Тбилиси пройдут в интересной спортивной борьбе. В программе напечатан справочный материал о тбилисском «Динамо», фотоснимки моментов матчей с участием клуба «Гамбургер ШФ», подборка из истории футбола, футбольный кроссворд и лотерея, а также традиционная реклама о новых товарах.

### Mannschafts-Aufstellungen

| Hamburger SV | Dynamo Tiflis |
| --- | --- |
| ( ) Rudi Kargus | ( ) Gabelija |
| ( ) Jürgen Stars | ( ) G. Matschaidse |
| ( ) Manfred Kaltz | ( ) Chinteschkakaschwili |
| ( ) Dietmar Jakobs | ( ) Tschilaja |
| ( ) Peter Nogly | ( ) Tschilaja |
| ( ) Peter Hidien | ( ) Tschivadse |
| ( ) Ivan Buljan | ( ) Darasselija |
| ( ) William Hartwig | ( ) M. Matschaidse |
| ( ) Caspar Memering | ( ) Kakilaschwili |
| ( ) Felix Magath | ( ) Guzajew |
| ( ) Kevin Keegan | ( ) Kipiani |
| ( ) Horst Hrubesch | ( ) Tschelebadse |
| ( ) Willi Reimann | ( ) Schengelija |
| ( ) Bernd Wehmeyer | |
| ( ) Hans-Günter Plücken | |
| ( ) Holger Hieronymus | |
| ( ) Bernd Gorski | |
| ( ) Thomas Bliemeister | |
| ( ) Uwe Boginski | |
| ( ) Heinz Bollow | |

# გიუნტერ ნეტცერი:

## „თბილისის „დინამო" საერთაშორისო კლასის გუნდია!"



ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ახლო წარსულში, სახელგანთქმული ნახევარმცველი გიუნტერ ნეტცერი წლების განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა გფრ-ის ნაკრებისა და მიონხენგლადბახის „ბორუსიაში", ხოლო თავისი საფეხბურთო კარიერის დასასრულს — მადრიდის „რეალში". მაღალტექნიკური, სწრაფი, ფიზიკურად ძლიერი, იგი მინდვრის საუკეთესო ხედვითა და დიდი ბრძოლისუნარიანობით (სწორად ამიტომ შეარქვეს მას „მოხუბარი ხარი") გამოირჩეოდა და მსოფლიოს სტადიონებზე მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა.

დღეს 35 წლის გიუნტერ ნეტცერი ჩვენი დღევანდელი მეტოქის — „ჰამბურგერ შპორტფერაინის" მენეჯერია (გუნდის ხელმძღვანელი).

აი რას ამბობს ტყავის ბურთის ეს შესანიშნავი ოსტატი თბილისის „დინამოს" შესახებ:

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ეს ის გუნდია, რომელმაც დამაჯერებლად დაამარცხა სახელგანთქმული „ლივერპული". ინგლისელთა კარში გატანილი გოლები, განსაკუთრებით მეორე, ძალზე შთამბეჭდავი და ეფექტური იყო. უკვე თვით ეს ფაქტი ამტკიცებს იმას, თუ რაოდენ მაღალტექნიკური და სახიფათოა თბილისის „დინამო", რომელიც სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო კლასის გუნდად. ქართველი ფეხბურთელები ცდილობენ მუდამ მაქსიმალურად გამოიყენონ მეტოქეთა კარის ალების შანსი, რასაც თავიანთი მთავარი კოზირით — დახვეწილი ტექნიკით ახერხებენ. ლივერპულელებთან პირველ მატჩში წაგებამ თბილისელებს რწმენა არ დაუკარგა და... თითქოს საბოლოო გამარჯვების ძალაც შემატა. დინამოელებმა „ფოლკსპარკის" სტადიონზეც წააგეს პირველი რაუნდი, მაგრამ... ერთი სიტყვით, თბილისში შეუპოვარი ორთაბრძოლა გველის.




„ჰამბურგერ შფ"

# БРАНКО ЗЕБЕЦ В ТБИЛИСИ



Tbilisi 17.10.79

КАКОВО же было удивление прилетевших на воздушном лайнере из Москвы в Тбилиси, когда пассажира из первого салона, казалось ничем не примечательного, в аэропорту встречала целая команда журналистов, фото- и телерепортеров...

Да, «незнакомец» оказался самим Бранко Зебецем — известным в прошлом футболистом, ныне тренером клуба «Гамбургер ШФ», соперником тбилисского «Динамо» в розыгрыше Кубка европейских чемпионов. Стоит ли говорить, что Б. Зебец оказался в центре внимания грузинских журналистов. Специально прилетев в столицу Грузии на матч динамовских команд Тбилиси и Москвы (17 октября), Зебец был, пожалуй, самым внимательным зрителем на нашем стадионе.

...Ну а пока во время импровизированной пресс-конференции в аэропорту он терпеливо отвечал на нескончаемые вопросы плотным кольцом окруживших его корреспондентов:

— Как выступает «Гамбургер ШФ» в чемпионате страны?

— Имеются ли изменения в составе Вашей команды?

— В форме ли знаменитый Кевин Киган?

— Что знает Бранко Зебец о тбилисском «Динамо?»

— Доволен ли он «выбором» жеребьевки в Цюрихе?

— Кто завоюет Кубок чемпионов?..

После матча, естественно, посыпались новые вопросы:

— Как понравилось тбилисское «Динамо», кого могли бы выделить в нашей команде, как думает сыграть Зебец дома и в гостях?..

Надо сказать, что интервьюируемый своими исчерпывающими, тактичными, остроумными ответами полностью удовлетворил любопытство журналистов.

...Бранко Зебец — знаменитый в прошлом нападающий белградского «Партизана» и сборной Югославии 50-х годов, дважды входивший в символическую сборную мира — тепло отозвался и о замечательных ветеранах советского футбола: Всеволоде Боброве, Василие Трофимове, Александре Петрове, Константине Крыжевском, Леониде Иванове, Автандиле Чкуасели, с которыми ему более четверти века тому назад довелось встречаться в Тампере на XV Олимпийских играх.

— Несмотря на редкое напряжение, выпавшее тогда на обе наши встречи, они прошли исключительно корректно, на высоком спортивном уровне, доставив истинное наслаждение любителям футбола, — сказал Бранко Зебец — думаю, что в такой же интересной, честной борьбе пройдет и спор наших команд за выход в четвертьфинала розыгрыша этого популярного клубного турнира.

НАШИ В ЕВРОКУБКАХ




**ჩვენი სტუმარი**

# «ჰამბურგერ შფ»

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფავორიტი — დასავლეთ გერმანიის საპორტო ქალაქ ჰამბურგის კლუბი „ჰამბურგერ შპორტფერაინი" („ჰამბურგის სპორტული კავშირი") დაარსებულია 1887 წელს. იგი ქვეყნის 5-გზის ჩემპიონია, ხოლო თასის გათამაშებაში სამჯერ მიაღწია გამარჯვებას.

როდესაც „ჰამბურგერ შფ"-ზე ლაპარაკობენ, პირველ რიგში აღნიშნავენ, რომ ეს არის სახელგანთქმული უვე ზეელერის კლუბი, რომლის სახელთან დაკავშირებულია როგორც ამ გუნდის, ისე გფრ-ის ნაკრების არაერთი წარმატება. მაგრამ „ჰამბურგერ შფ"-ს სხვა ვარსკვლავებიც ჰყავდა — შულცი, პოსიპალი, დიორფელი და სხვა. არიან ვარსკვლავები მის დღევანდელ შემადგენლობაშიც — კალტცი, ჰრუბეში და, პირველ რიგში, ყველასათვის კარგად ცნობილი კიგანი — კლუბის მთავარი ბომბარდირი (შარშან მან ბუნდესლიგაში 17 ბურთი გაიტანა), ფრანგული სპორტულ გაზეთ „ეკიპის" პრიზის „ოქროს ბურთის" მფლობელი როგორც ევროპის 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

„წითელ-თეთრებს" („ჰამბურგერ შფ"-ის ფორმის ფერებია) ევროპის საკლუბო ტურნირებში გამოსვლის დიდი გამოცდილება აქვთ: 1968 წელს ისინი თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ, ხოლო 1977 წელს მოიპოვეს ეს საპატიო პრიზი. 1961 წელს გუნდმა ნახევარფინალს მიაღწია ევროპის ჩემპიონთა თასის ტურნირში, რომელშიც ახლა იგი ჩვენს მეტოქედ მოგვევლინა. შევახსენებთ, რომ გათამაშების სასტარტო მატჩებში ჰამბურგელებმა ადვილად დაამარცხეს ისლანდიის ქ. რეიკიავიკის „ვალიური" — 3:0 და 2:1.

შარშან „ჰამბურგერ შფ"-მა 19 წლის შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა (21 მოგება, 7 ფრე, 6 წაგება, ბურთების სხვაობა 78-32), რასაც სპეციალისტები ძირითადად „შესანიშნავი ტრიოს" — გუნდში მოსული ახალი მწვრთნელის, იუგოსლაველი ბრანკო ზებეცის, კლუბის მენეჯერის გიუნტერ ნეტცერისა და „ლივერპულიდან" გადმოსული კევინ კიგანის დამსახურებად თვლიან. საინტერესოა, რომ ამ წარმატებას ეს სამეული ერთი მეორეს „აბრალებს". ერთი კი ცხადზე ცხადია — კლუბმა ახალი ხელმძღვანელების ხელში როგორც იქნა დაძლია გაჭიანურებული კრიზისი და დღეს წარმატებით იბრძვის ქვეყნის ჩემპიონატშიც (იგი ამჟამად მეორე ადგილზეა დორტმუნდის „ბორუსიის" შემდეგ) და ევროპულ ტურნირშიც. უნდა ითქვას, რომ წლევანდელი სეზონი ჰამბურგელმა ფეხბურთელებმა სუსტად დაიწყეს — პირველ ტურებში ისინი საკმაოდ უფერულად თამაშობდნენ და მხოლოდ მერვე ტურში იპოვა „ჰამბურგერ შფ"-მა საკუთარი თამაში, როდესაც პირდაპირ გაანადგურა „კიოლნი" — 3:0. სწორედ ამ მატჩში (6 ოქტომბერს) გაიტანა ტანმორჩილმა კიგანმა (მისი სიმაღლეა 1 მ. 69 სმ.) თავისი პირველი გოლი სეზონში და ჰარტვიგსა და ჰრუბეშს დაეხმარა იგივე გაეკეთებინათ.

ჰამბურგელთა გუნდის კარს იცავს გამოცდილი რუდი კარგუსი (იგი 27 წლისაა), რომელსაც ერთ დროს (მუხლის სერიოზულ ტრავმამდე) თვით ზეპ მაიერის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. დაცვის ცენტრში გამოდიან გუნდის კაპიტანი, 32 წლის პეტერ ნოგლი და ახალგაზრდა ნიჭიერი სტოპერი დიტმარ იაკობსი, რომელიც „დუისბურგიდან" გადმოვიდა. ორივე კარგად თამაშობს თავით. განაპირა მცველები არიან: მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მარჯვენა მცველი მანფრედ კალტცი (შემტევი სტილის ფეხბურთელი, იგი ხშირად საჯარიმოებსა და პენალტებს ურტყამს) და მშვენიერი პერსონალური მეურვე პეტერ ჰიდენი. ნახევარდაცვაში მეტწილად გამოდიან ვეტერანი ივან ბულიანი (იუგოსლავიის „ჰაიდუკიდან"), ჯიმი ჰარტვიგი (გადმოვიდა „მიუნხენ 1860"-დან), საარბრიუკენელი ფელიქს მაგათი ან კასპარ მემერინგი (მან მუხლის ოპერაცია გაიკეთა და, ალბათ, ამ მატჩშიც ვერ მიიღებს მონაწილეობას). ჰამბურგელთა შეტევის მარჯვენა ფლანგზე, როგორც წესი, ვილი რაიმანი თამაშობს („ჰანოვერის" ყოფილი მოთამაშე), ხოლო ცენტრში — ფიზიკურად ძლიერი, მაღალი ტანის (1 მ. 87 სმ.) ჰორსტ ჰრუბეში (იგი „როტ ვაისიდან" გადმოიყვანეს), რომელიც საუკეთესოდ თამაშობს თავით. რაც შეეხება ყოფილ ლივერპულელ კევინ კიგანს, რომელზეც უკვე მოგახსენებდით, იგი მყარად არც ერთ ადგილზე არ არის მიმაგრებული და, ასე ვთქვათ „უადგილო თავისუფალი ნახევარმცველ-თავდამსხმელის" ფუნქციებს ასრულებს.


ნოგლი


კარგუსი


შტარსი


გორსკი


გლიმაისტერი


კლიუკენი


ვეჰმაიერი


მემერინგი


კალტცი


ჰიდენი


ბულიანი


მაგათი


ჰარტვიგი


რაიმანი


ჰრუბეში


კიგანი



# ზელერიდან...



უვე ზეელერი და კევინ კიგანი. მწვანე მინდორზე ისინი არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს — ერთი ხომ 15 წლით უფროსია მეორეზე. მაგრამ ერთიცა და მეორეც ჩვენი დღევანდელი მეტოქის „ჰამბურგერ შფ“-ის ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავები გახლავთ — ყოფილი და ახლანდელი. ამიტომაც გადავწყვიტეთ გიამბოთ მათზე.

**გფრ-ის** ნაკრებისა და „ჰამბურგერ შფ“-ის ყოფილი ცენტრალური თავდამსხმელი უვე ზეელერი (იგი 1936 წელსაა დაბადებული) ფრანც ბეკენბაუერთან, გერდ მიულერთან, კარლ-ჰაინც შნელინგერთან, ფრიც ვალტერთან, გიუნტერ ნეტცერთან ერთად დასავლეთგერმანული ფეხბურთის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა. და არა მარტო ქვეყანაში, არამედ ევროპაშიც. ამ შესანიშნავ თავდამსხმელს თავის დროზე „თვალს არ აცილებდნენ“ მადრიდის „რეალი“, იტალიის კლუბები თუ სხვა ქვეყნის საუკეთესო გუნდები — ყველას სურდა თავისთან გადაებირა ეს ტანმორჩილი, მაგრამ მეტად სახიფათო — ტექნიკური, ძლიერი, სწრაფი ფეხბურთელი, თავური დარტყმების ჩინებული ოსტატი. უ. ზეელერი არა და არ ეთხოვებოდა მშობლიურ კლუბს, რომელშიც იგი 16 სეზონი გამოდიოდა. საერთოდ ზეელერს სულ 750 მატჩამდე აქვს ჩატარებული, აქედან ნაკრებში სარეკორდო რაოდენობა — 72, რომლებშიც მან 43 ბურთი გაიტანა. რეკორდი ეკუთვნის მას მსოფლიოს ჩემპიონატებში გამოსვლისთვისაც — 21 მატჩი 4 ჩემპიონატში (1958, 1962, 1966, 1970 წ.წ.) უვე ზეელერი თამაშობდა ფიფა-ს (1963 წ.) და უეფა-ს (1964 წ.) ნაკრებ გუნდებში, შესაბამისად, ინგლისელებისა და იუგოსლაველების წინაღმდეგ.

დღეს ზეელერი კვლავ თავის მშობლიურ ქალაქში — ჰამბურგში ცხოვრობს და ცნობილი სპორტული ფირმა „ადიდასის“ ხელმძღვანელია დასავლეთ გერმანიის ჩრდილოეთ ოლქში. როგორც „ჰამბურგერ შფ“-ის მწვრთნელმა ბრანკო ზებეცმა გვითხრა, ზეელერი ახლაც საკმაოდ ახლო კონტაქტშია ჰამბურგელ ფეხბურთელთა გუნდთან.

**სურათებზე:** ზემოთ — ზეელერს მაღალ ნახტომში თავური დარტყმით გააქვს ბურთი ნეინკირხენის „ბორუსიის“ კარში; ქვემოთ — მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატი ინგლისში. სსრ კავშირი-გფრ. ზეელერის სახიფათო გარღვევის შემდეგ საბჭოთა გუნდის კარი იაშინის ელვისებურმა ნახტომმა იხსნა:



**კევინ** ჯოზეფ კიგანი (იგი 1951 წელს დაიბადა) დღევანდელი „ჰამბურგერ შფ“-ის სული და გულია. და თუმცა კიგანი ჯერ კიდევ არ არის ჩვეულ ფორმაში, მისი თამაში მაინც საკმაოდ მწვავეა და დიდოსტატური.

— იგი ისე იბრძვის ტანმაღალი მცველების წინააღმდეგ, როგორც თავის დროზე ზეელერი, ბრწყინავს ისე, როგორც ბეკენბაუერი და გააქვს გოლები ისე, როგორც მიულერს. მხოლოდ მისი მეშვეობით შეძლეს ჰამბურგელებმა ბუნდესლიგის პირველობის მოგება — ასე წერდა კიგანის შესახებ „ჰამბურგერ შფ“-ის კლუბის მენეჯერი, სახელგანთქმული გიუნტერ ნეტცერი.

კიგანი ზეელერივით მოკრძალებული ტანისაა, ამასთან ძალზე სწრაფი და მოძრავი. ამიტომ იყო, რომ ბავშვობაში მას თანატოლები „მიკი მაუსს“ უძახდნენ. კევინი ფეხბურთს 6 წლის ასაკიდან თამაშობს. მისი პირველი ოფიციალური გუნდი იყო სასკოლო „სენტ-პიტერზ სკული“, შემდეგ ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე „სკანტორპ იუნაიტედი“, რომელშიც ეს ნიჭიერი ფეხბურთელი 15 წლისა მიიღეს. 1971 წელს „ლივერპულის“ მაშინდელმა მწვრთნელმა ბილი შენკლიმ კიგანი თავის გუნდში მიიწვია, რომელშიც იგი ექვსი სეზონი გამოდიოდა. კევინი უკვე 8 წელიწადია ინგლისის ნაკრების წევრია, დღეს მისი კაპიტანიცაა.







ასე უტევს მეტოქეთა კარს კევინ კიგანი...



ფეხბურთის ვარსკვლავის ყველაზე დიდი ბედნიერება — პატარა ლაურა (იგი ჰამბურგში დაიბადა). მარცხნივ — კევინის მეუღლე ჯეიმი...



...„როდესაც გამაქვს გოლი, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს!..

1977 წელს კ. კიგანი ყველასათვის მოულოდნელად დასავლეთ გერმანიის კლუბ „ჰამბურგერ შფ“-ში გადავიდა და ახლა მისი ლიდერი და ბომბარდირი გახდა.

28 წლის კევინ კიგანი — ევროპის 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელი — დღესაც უცვლელად ნომერ „7“ მაისურით თამაშობს. მეტოქეთა მცველები და მეკარეები მუდამ ფხიზლად არიან ამ სახიფათო „მაისურის“ მოახლოებისას...

# ...კიგანამდე

